

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამატების წესი

წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯში „მერმისი“ (შემდგომში „კოლეჯი“) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში „პროგრამა“) შემუშავებისა და დამატების წესს.

მუხლი 1. ახალი პროგრამის დამატების ინიცირება

1. ახალი პროგრამის დამატების ინიციატორი შეიძლება იყოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, დამსაქმებელი, დარგობრივი ასოციაცია, საინიციატივო ჯგუფი, სხვა დაინტერესებული პირი.
2. ახალი პროგრამის დამატების შესახებ დასაბუთებული ინიცირება ხდება წერილობითი ფორმით.

მუხლი 2. ახალი პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დადგენა

1. ახალი პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია.
2. კომისია განიხილავს ინიცირების შესახებ განაცხადს.
3. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას ახალი პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის ან მასზე უარის თქმის შესახებ ასახავს ოქმში, რომელიც წარედგინება კოლეჯის დირექტორს.
4. პროგრამის დამატებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი.

მუხლი 3. ახალი პროგრამის შემუშავება

1. ახალი პროგრამის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემადგებლობა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მომზადებას სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

მუხლი 4. შემუშავებული პროგრამის შეფასება

1. შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი შეფასების მიზნით წარედგინება კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს.
2. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის პროექტის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარვეზების გამოსწორების მიზნით უზრუნველდება პროგრამის შემუშავების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფს.

3. ხარვეზების გასწორების შემდეგ პროგრამის პროექტი თავიდან წარედგინება კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, რომელიც ააფასებს პროგრამის კორექტირებულ ვარიანტს.
4. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის დადებითი შეფასების შემთხვევაში შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 5. შემუშავებული პროგრამის დამატება

1. კოლეჯი შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებას ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების N30¹ მუხლის შესაბამისად.
2. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი ამზადებს სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარსადგენ დოკუმენტაციას - განაცხადს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ შესაბამის დანართებთან ერთად.